ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 47

19.11.2020
12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 19 ნოემბერს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომის თავმჯდომარეობდა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა *(საფუძველი 12-032031836-03, 13.11.2020)* (**მომხსენებლები - გაიოზ თალაკვაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი, **ირაკლი გვილავა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი);

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი - კომისიას წარუდგინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო დაბ კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურების უფროსებმა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განისაზღვრა **840 302,5** ათასი ლარით, რაც 2020 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით (1 021 400,6 ათასი ლარი) შემცირებულია 181 098,1 ათასი ლარით. ხარჯვით ნაწილში, იქიდან გამომდინარე რომ შემოსავლები ამ თანხას ვერ ცდება ველოდებით სახელმწიფო ტრანსფერის სახით თანხის გამოყოფას, თუ ვივარაუდებთ რომ ეს თანხა იქნება 120,000,000 ან 125,000,000 მილიონი ლარის ფარგლებში, ვფიქრობთ ყველა გამოწვევას ვუპასუხებთ რის წინაშეც მუნიციპალიტეტი დგას, დამატებითი თანხები რომლებიც არ არის ასახული ბიუჯეტში არის ტრანსპორტის კომპანიის სუბსიდიები, იქიდან გამომდინარე რომ პანდემიის მდგომარეობაში საკუთარი შემოსავალი შემცირებულია და სავარაუდოდ კიდევ უფრო შემცირდება. არის კიდევ მცირე თანხები, რომლებიც გარდამავალი ხელშეკრულებებისთვის არის გათვალისწინებული. 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი **პრიორიტეტების დაფინანსება:** სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 72 223,2 ათასი ლარით; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 140 088,3 ათასი ლარით, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 106 218,4 ათასი ლარით; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 4 164,4 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 39 157,3 ათასი ლარით; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 164 376,9 ათასი ლარით; განათლება - 162 919,0 ათასი ლარით; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 4 402,3 ათასი ლარით; ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 107 938,2 ათასი ლარით; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 38 814,5 ათასი ლარით;

წარმოდგენილი 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით ახალი პროექტები არ არის გათვალისწინებული, არის მხოლოდ ის პროექტები რომლებიც დაწყებულია და განხორციელების ეტაპზეა, ვგეგმავთ რამდენიმე პროექტზე მოთხოვნა მოვამზადოთ ფინანსთა სამინისტროსთან, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის დამატებითი თანხის მისაღებად. სავარაუდოდ 10,000,000 ან 15,000,000 მილიონის მოთხოვნას ვგეგმავთ დამატებით პროექტებისთვის.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, **სპორტის განვითარების ხელშეწყობის (კოდი 08.06) ბიუჯეტი წარმოდგენილია 20 504,7 ათასი ლარით,** მათ შორის: სპორტული ღონისძიებები (08.06.01) - 5 400,0 ათასი ლარი; მწვრთნელთა მხარდაჭერა (08.06.02) დაფინანსდება 2 296,9 ათასი ლარით; სპორტული მოედნების მშენებლობა რეკონსტრუქცია (08.06.03) დაფინანსდება 200,0 ათასი ლარით, რაც ცოტნე დადიანის ქუჩაზე, კიკვიძის ბაღში სკეიტ-პარკის მოედნის მოწყობასა და დედაქალაქში არსებული ფიტნეს ტრენაჟორების შეკეთება-რეაბილიტაციას მოხმარდება; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და მშენებლობისთვის (08.06.04) გათვალისწინებულია 10 816,4 ათასი ლარი; აღნიშნული ფინანსები მოხმარდება ვარკეთილში და დიდ დიღომში, მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების სამშენებლო სამუშაოებს, ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და აღჭურვას, ა(ა)იპ ,,ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული

ცენტრის" ჩოგბურთის ბაზაზე სარეაბილიტაციო ცენტრის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას, ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრის რეაბილიტაციას; წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (08.06.05) - 390, 0 ათასი ლარით; პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა (08.06.06) წარმოდგენილია 1 401,4 ათასი ლარით; **ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა (კოდი 08.08) წარმოდგენილია 2 252,9 ათასი ლარით,** მათ შორის: ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08.08.01) დაფინანსდება 1 500,0 ათასი ლარით; თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება (კოდი 08.08.02) წარმოდგენილია 752,9 ათასი ლარით, ჯამში 08.06 (20 504,7 ლარი) და 08.08 (2 252.9 ლარი) პროგრამები 2021 წელს დაფინანსდება 22 757,6 ლარით.

აღსანიშნავია, რომ მომავალი წლის ერთ-ერთი დიდი გამოწვევა არის გაზრდილი ფასები ყველა მიმართულებით, მათ შორის ინფრასტრუქტურულ ნაწილში, ყველანაირად ვცდილობთ დაწყებული პროექტები მოვაქციოთ შეთანხმებული კონტრაქტების ფარგლებში შესყიდვებისა და განხორციელების კუთხით .ორი მთავარი პროექტი დიღმისა და ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობა ვფიქრობ ფასთა ზრდას გაუძლებს და დასრულდება წარმატებით,

ახალი მულტიფუნქციური ცენტრების პროექტირება ჯერჯერობით ბუნდოვანია ვინაიდან მოცემულ მომენტში, წარმოდგენილი ბიუჯეტი არ იძლევა აღნიშნულის საშუალებას. რადგან არ გვსურს გაკეთდეს პროექტი და მისი განხორციელების საკითხი გაურკვეველი დარჩეს. მომავალ წელს არსებითი მნიშვნელობის ცენტრები დაემატება ქალაქს, ასევე ვითხოვთ არსებული ცენტრების რეაბილიტაციისთვის დამატებით თანხებს, მაგალითად გლდანის აუზთან დაკავშირებით, რომელიც მოძველებულია.

მომდევნო წელს გვაქვს ასევე საკითხი რომელიც ამ ეტაპზე ბიუჯეტში არ არის ასახული, რამდენიმე სპორტული ცენტრი იყო ვალდებულებით აღებული რამდენიმე წლით, კერძო მესაკუთრეების მხრიდან, მათ ამოეწურათ ვალდებულების ვადა, მოკვლევის შედეგად ვერ დადასტურდა ინვესტიცია რომელიც მათი მხრიდან განხორციელდა, მერიამ შეუწყვიტა უფლებამოსილება სარგებლობაზე რაზეც ამ ეტაპზე მიმდინარეობს სასამართლოში დავა. ველოდებით დავის დასრულებას, რათა მუნიციპალიტეტს გადმოეცეს რამდენიმე ფართი და მიწა, არის კერძო მესაკუთრეების შემთხვევა, რაზეც მიმდინარეობს მონაცვლეობის პროცესი.

ამ მიმართულებით მოგვიწევს მუშაობა, რათა მოვაწესრიგოთ აღნიშნული ცენტრები ვინაიდან დღეს არცერთი არ არის ფუნქციონირებად მდგომარეობაში. ღონისძიებების ნაწილში სავარაუდოდ გაზაფხულზეც ვიქნებით შეზღუდვების რეჟიმში, რის შედეგადაც ღონისძიებების თანხების დიდი ნაწილი ა (ა)იპ-ებში დასაქმებული ადამიანების ხელფასებისთვის იქნება გათვალისწინებული.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - რაიონის კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი: 02.09.10, 02.09.11, 02.09.12, 02.09.13, 02.09.14, 02.09.15, 02.09.16, 02.09.17, 02.09.18, 02.09.19) ათივე რაიონში კერძოდ ახალი სპორტული მოედნების მოსაწყობად, არსებულის რეაბილიტაციისა და გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების დასამონტაჟებლად წარმოდგენილია 5 349,738 ათასი ლარით, 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით, ქალაქს შეემატება 26 ახალი მინი სპორტული მოედანი და დამონტაჟდება 73 გარე

გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორი, ასევე, 23 მისამართზე რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ სპორტულ მოედნებს. მსგავსად 2020 წლის ბიუჯეტისა იგივე თანხებია გამოყოფილი შემდეგ პროგრამებზე: კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში (08.11) ერთობლივად წარმოდგენილია 1 000,0 ათასი ლარით და ათივე რაიონზე თანაბრადაა გადანაწილებული, უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეებში (კოდი 06.02.06.01) წარმოდგენილია 627,5 ათასი ლარით, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06.02.06.03) წარმოდგენილია 733,5 ათასი ლარით.

ყველა პროექტი დღევანდელი მონაცემებით მიმდინარეობს წარმატებით, ჩვენი რეკომენდაცია საქალაქო სამსახურისთვის მულტიფუნქციური სპორტული ცენტრებისა და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასასრულებლად, ახალი სპორტული ცენტრების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესასყიდად და ახალგაზრდული ცენტრების სარეაბილიტაციოდ გამოიყოს დამატებითი თანხები, რათა პრობლემა არ შეექმნას მათ განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის რეკომენდაციები (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, ლევან ჯაფარიძე, გიორგი მუსხელიშვილი, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (7), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე კომისიის დასკვნა შენიშვნებით და რეკომენდაციებით, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 72-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად გადაეგზავნოს ქონების მართვის და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას შემდგომი რეაგირებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე